საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაციის დონე საქართველოში

2026 წლის ივნისი

03.07.2026
www.geostat.ge

03.07.2026

ინფლაცია საქართველოში, 2026 წლის ივნისი

2026 წლის ივნისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 5.8 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას[1], აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2026 წლის ივნისში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის[2] მაჩვენებელი 3.2 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.

	პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით (%)	ჯგუფების წვლილი 2026 წლის ივნისის ინფლაციაში (სულ 0.1 პროცენტი)
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	-0.1	-0.07
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	0.4	0.03
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-2.3	-0.10
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	0.5	0.05
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	-0.2	-0.01
ჯანმრთელობის დაცვა	0.1	0.00
ტრანსპორტი	0.6	0.08
კავშირგაბმულობა	-0.2	0.00
დასვენება, გართობა და კულტურა	0.8	0.03
განათლება	0.0	0.00
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.1	0.08
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	-0.4	-0.02
ინფლაციის დონე, სულ	**0.1**	



* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

[1] **საბაზო ინფლაციის** გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

[2] **თამბაქოს გარეშე საბაზო ინფლაციის** გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; თამბაქო; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სასტუმროები, კაფეები და რესტორნები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2.1 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა თვის ინფლაციაში 0.08 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა როგორც ღამის გასათევით მომსახურებაზე (4.1 პროცენტი), ისე საზოგადოებრივ კვებაზე (1.7 პროცენტი);

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 0.6 პროცენტით, რაც თვის ინფლაცაზე 0.08 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები, ძირითადად, მომატებულია სატრანსპორტო მომსახურებასა (2.9 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (0.2 პროცენტი);

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ჯგუფში ფასები შემცირდა 2.3 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე -0.1 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირებულია როგორც ტანსაცმლის (-3.1 პროცენტი), ისე ფეხსაცმლის (-0.6 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები შემცირდა 0.1 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე -0.07 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირებულია ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერცხი (-1.5 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (-1.3 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (-1.1 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (-0.7 პროცენტი). ამასთან, ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (3.3 პროცენტი), თევზეული (1.5 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (0.5 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (0.1 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (0.1 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2026 წლის ივნისის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

03.07.2026



* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 5.6 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 1.92 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია ქვეჯგუფებზე: თევზეული (20.4 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (9.8 პროცენტი), ხილი და ყურძენი (8.7 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (6.6 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (5.5 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (5.5 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (4.2 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (1.8 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (1.8 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (0.4 პროცენტი);

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 16.5 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 1.87 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (24.0 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (11.8 პროცენტი);

03.07.2026

საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ჯგუფში ფასები მომატებულია 7.2 პროცენტით, რაც 0.69 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. ფასები გაზრდილია ქვეჯგუფებზე: ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (10.1 პროცენტი), საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (6.8 პროცენტი) და ფაქტიური გადასახადი საცხოვრებელზე (5.4 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: მოცემულ პერიოდში ჯგუფში ფასები გაიზარდა 4.7 პროცენტით, რაც ინფლაციაზე 0.4 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა (7.5 პროცენტი) და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (3.0 პროცენტი).

ყოველთვიური ინფლაცია



წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



წლიური ინფლაცია პროდუქტების წარმოშობის მიხედვით

(%)



03.07.2026

წლიური ინფლაციის დეკომპოზიცია,

(პროცენტული პუნქტი)



საკონტაქტო პირები:

გიორგი თეთრაული
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (400)
E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020).
E-mail: mkavelashvili@geostat.ge